Ambassade de France en Géorgie

Centre Culturel Français Alexandre Dumas

2011-2012 სასწავლო წლისათვის, საფრანგეთის უნივერსიტეტების პირველ ციკლზე წინასწარი ჩაწერის მოთხოვნის პროცედურა

სტუდენტებს, რომლებიც არ არიან ევრო კავშირის წევრი, ევროპის ეკონომიკურ სივრცეში შემავალი სახელმწიფოდან, შვეიცარიის კონფედერაციიდან და არ ცხოვრობენ საფრანგეთში, და სურთ სწავლის გაგრძელება ფრანგულ უნივერსიტეტებში, **ლისანსის (Licence) პირველ ან მეორე წელიწადზე ჩარიცხვის მოთხოვნის წინასწარი პროცედურა უნდა გაიარონ.**

ვის არ ეხება აღნიშნული პროცედურა :

- უცხოელ კანდიდატებს, რომლებსაც აქვთ ფრანგული ბაკალავრი, საერთაშორისო ბაკალავრი, ევროპული ბაკალავრი, ფრანგულ-გერმანული, ფრანგულ-ესპანური ან ფრანგულ-იტალიური ბაკალავრი ან გადიან მათ ასაღება ;
- სტუდენტებს, რომლებიც «Grandes ecoles» -ების მოსამზადებელ კლასში საფრანგეთის უნივერსიტეტების “Licence”-ის ან “Master”-is პროგრამებზე სწალობენ ;
- სტუდენტებს, რომლებიც საუნივერსიტეტო ან სხვა სპეციფიურ დაწესებულებაში, მასტერზე ითხოვენ ჩარიცხვას ;
- კანდიდატებს, რომლებსაც სურთ იმ დაწესებულებებში ჩაბარეა, რომლებიც კონკურსის საფუძველზე იღებენ ;
- კანდიდატებს, რომლებიც «Grandes ecoles» -ების მოსამზადებელ კლასში ან უმაღლესი ტექნიკოსის სექციაში აპირებენ ჩაწერას ;
- კანდიდატებს, რომლების ტექნოლოგიის, უნივერსიტეტის რანგის ინსტიტუტში (IUT) აპირებენ ჩაწერას ;
- საფრანგეთის მთავრობის საერთაშორისო ორგანიზაციების, ან უცხოური მთავრობების სტიპენდიანტებს, რომელთა სტიპენდიებიც ლიცენზირებული, ფრანგული ორგანიზაციის მიერ იმართება.

<u>**პროცედურა**</u>

ფრანგულ უნივერსიტეტში ჩაწერის კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ჩარიცხვის მოთხოვნის შესახებ დოსიე (Dossier Blanc)

« Dossier Blanc » უნდა აიღოთ ალ. დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრში (გუდიაშვილის ქ. 10, 0105 თბილისი) **2010 წლის 1 დეკემბრიდან.** ასევე, შესაძლებელია დოსიეს ჩამოტვირთვა შემდეგი ვებ-გვერდიდან :

Ambassade de France en Géorgie

Centre Culturel Français Alexandre Dumas

http://www.enseignementsup-recherche.gouv.fr/cid20200/commencer-ses-etudes-superieures-en-france.html

მოთხოვნისამებრ შედგენილი დოსიე უნდა მიიტანოთ ალ. დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრში, არაუგვიანეს 2011 წ-ის 31 იანვრისა. დოსიეს გადასაცემად გთხოვთ წინასწარ დანიშნოთ შეხვედრა ტელეფზე : 92 28 55.

ყურადღება : საფრანგეთის უნივერსიტეტში ჩაწერის კანდიდატებს შეუძლიათ მხოლოდ ერთი დოსიეს შემოტანა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ უპირატესობა მიანიჭოთ ელექტრონულ ფოსტას, რომლის მისამართია, universitaire@ccf-tbilisi.ge

ლინგვისტური ტესტი

ფრანგულ უნივერსიტეტში ჩაწერის კანდიდატები გაივლიან ფრანგული ენის ცოდნის დონის შემოწმებას. ამ მიზნით, 2011 წ-ის 20 იანვარს ჩატარდება ლინგვისტური ტესტი, TCF-ი.

ყუდღება! TCF-ზე ჩაწერა ხდება ცალკე და მას კავშირი არ აქვს წინასწარი ჩაწერის დოსიეს ჩაბარებასთან. TCF-ზე ჩაწერა ხორციელდება 2010 წლის 29 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე.

კანდიდატები ინფრმირებულები არიან, რომ TCF-ზე ჩაწერის ფასი 63 ევროს შეადგენს.

TCF-ისაგან თავისუფლდებიან სტუდენტები, რომლებსაც აქვთ DALF-ი (დონე C1 და C2) და DELF- ი (დონე B2).

TCF-თან დაკავშირებული, დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტ გვერდზე : http://www.ciep.fr/tcfdap/

თუ TCF-ისათვის მოსამზადებელ ლექციებზე გსურთ ჩაწერა, დაუკავშირდით ალ. დიუმას ენის კურსების ბიუროს, შემდეგ ნომერზე : 92 28 55/ 93 44 68